№ 72 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 2 მან. ოთხშაბათი, 31 მარტი 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

**საქართველოს რესპუბლიკა**

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მან., ცალკე ნომერი ყველგან 2 მა. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვ. 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

გულ დათუთქულნი მეუღლე შუშანიკა ჯობავას ასული, დედა ელიბო ვაჭარაძის ასული, ძმა ისიდორე ნიკოლოზის ძე და ბიძა ლავრენტი დიმიტრის ძე მუჯირები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის უსაყვარლესი ქმრის და დანარჩენების შვილის, ძმის და ძმის შვილის ახალ-ქალაქის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის საქმის მწარმოებლის

**იგორ ნიკოლოზის ძის მუჯირის**

მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ უეცრად გარდაცვალებას ქ. ბორჯომში 16 მარტს, რომელიც წასვენებული და დასაფლავებული იქმნა თავის საკუთარ სოფელში თერჯოლაში და რომლის სულის მოსახსენებელი წირვა დანიშნულია 20 აპრილს, ახალკვირის სამშაბათს სოფ. თერჯოლაში.
611 1—1

**სახელმწიფო თეატრი** ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

ოთხშაბათს, 31 მარტს

**ჰოფმანის ზღაპრები**

ხუთშაბათს, 1 აპრილს, მ. ი. ბაუერზაკის ბენეფისი. 1 ხალხთა ცეკვა. 2. სიზმარი ზაფხულის ღამის. 3. გიტონა. პარასკევს 2 აპრილს მეორე გასტროლი მიშელ დარიალის ნანობაშვილის „ჰუგენოტები“. შაბათს, 3 აპრილს, ოპერა მუშებისათვის „ფაუსტი“ და „ვალპურგიის ღამე“.
371

**ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების არაჩვეულებრივი საზოგადო კრება**

დანიშნულია 14-ს აპრილს საღამოს 6 საათზე ზემოხსენებულ ბანკის სადგომში. კრებამ უნდა ამოირჩიოს გამგეობის წევრი, ნაცვლად პ. ა. გოთუასი, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, და ამასთანავე განხილულ იქნება მოხსენება საზოგადოების წესდების § 91 შეცვლისა. თუ ამ დღეს არ შესდგა კრება, მეორე კრება შესდგება 2 მაისს.
613 1—1

**გაზ. „საქართველოს რესპუბლიკას“ კანტორა აცხადებს,**

რომ მიმდინარე წლის 1 **აპრილიდან** გაზეთი ეღირება თვიურად **70 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. **განცხადების ფასი:** პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. ტექსტის შემდეგ—3 მ. 50 კ. სამგლოვიარო. განცხადება ჩვეულებრივი ზომის 140 მან. ნისია განცხადებებზე გადახდება ნიხრზე მეტი 20 პროცენტი. ვისაც გაზეთი უკვე გამოწერილი აქვთ უნდა გადაიხადონ 1 აპრილიდან დამატებითი ფასი.

## ოფიციალური განყოფილება

### დეკრეტი.

**ევროპაში კომერციული სააგენტოების დასაარსებლად და ეკონომიური მისიის გასაგზავნად [illegible]0.000.000 მან. გაცემისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის განკარგულებაში ოცი მილიონი (20.000.000) მან. ევროპაში კომერციული სააგენტოების დასაარსებლად და ეკონომიური მისიის გასაგზავნად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### დეკრეტი

**გარეშე საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 5.000.000 მან. გაცემისა საგანგებო ხარჯის დასაფარავად.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გარეშე საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ხუთი მილიონი (5.000.000) მანეთი საგანგებო ხარჯის დასაფარავად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 23.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### დეკრეტი

**დამფუძნებელი კრების არჩევნების საჭიროებისათვის დამატებით 500.000 მ. გაცემისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ცენტრალ საპარლამენტო საარჩევნო კომისიის განკარგულებაში დამატებით ხუთასი ათასი (500.000) მანეთი დამფუძნებელი კრების არჩევნების საჭიროებისათვის.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 23.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### დროებითი დებულება

**ბორჯომის და ხონის სახელოსნო სასწავლებლების მოსამსახურე პირთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.**

1. სასწავლებლის მმართველს აქვს არა უმეტეს ექვსი (6) გაკვეთილისა კვირაში.

2. სასწავლებლის მმართველს თანამდებობისათვის მიეცემა რვა ათას ექვსასი (8.600) მან. და ბინა, აგრეთვე უფლება სამ ხუთწლეული დამატებისა, ხუთასი (500) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის, ხოლო ექვსი (6) გაკვეთილისათვის ორი ათას ოთხასი (2.400) მან. გამგეს თუ უმაღლეს განათლება მიღებულია, თანამდებობისათვის მიეცეს ცხრა ათას სამასი (9.300) მან. და ბინა, აგრეთვე უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ექვსასი (600) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის, ხოლო ექვსი (6) გაკვეთილისათვის მიეცემა სამი ათასი (3.000) მან., ხუთასი მანეთი თვითეულში.

3. სასწავლებელს ჰყავს სახელოსნოების გამგე, იგივე სასწავლებლის მმართველის თანაშემწე, რომელსაც ეძლევა გამგებლობისა და თორმეტი (12) გაკვეთილისათვის ცხრა ათას ხუთასი (9.500) მან.

4. საზოგადო განათლების საგნების შტატის მასწავლებელთ თორმეტი (12) ძირითადი გაკვეთილისათვის მიეცემათ სამი ათას რვაას სამოცი (3.860) მან. წლიურად და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ხუთასი (500) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის.

**შენიშვნა 1:** თუ საზოგადო განათლების საგნების შტატის მასწავლებელი უმაღლეს სწავლა მიღებულია, მიეცემა თორმეტ (12) ძირითად გაკვეთილში ოთხი ათას რვაასი (4.800) მან. წლიურად და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა, ექვსასი (600) მანეთი თვითეული ხუთწლეულისათვის.

**შენიშვნა 2:** საზოგადო განათლების საგნის მასწავლებლობა ბორჯომისა და ხონის სასწავლებელში შეიძლება მიენდოს იმ პირთ, რომელთაც აქვთ მიღებული უფლება უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის მასწავლებლისა.

**შენიშვნა 3:** ხონის სახელოსნო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასების მასწავლებელნი ჯამაგირის და დამატებითი გაკვეთილებისათვის გასამრჯელოს მხრით გათანასწორებულნი არიან ძირითადი კლასების მასწავლებლებთან.

5. თორმეტს (12) ზევით დამატებითი გაკვეთილში მიეცემა ორას ოთხმოცი (280) მანეთი თვითეულში, ხოლო საერთო რიცხვი გაკვეთილებისა არ უნდა აღემატებოდეს თვრამეტს (18).

**შენიშვნა** ყველა კერძო შემთხვევაში თვრამეტზე (18) მეტი გაკვეთილის აღება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით.

6. წერით სავარჯიშოს გასწორებისათვის ყოველი საგნის მასწავლებელს მიეცემა ორას ოთხმოცი (280) მან. თვითეული კლასისათვის.

7. სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს მდივნობისა და ბიბლიოთეკის გამგეობისათვის თითო მასწავლებელს ეძლევა ოთხას ოთხმოცი (480) მ. წლიურად.

8. სპეციალ საგნების მასწავლებელთ თვითეულს გაკვეთილისათვის მიეცემა ოთხასი (400) მან. წლიურად და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ხუთასი (500) მ. თვითეული ხუთწლეულისათვის.

**შენიშვნა 1:** ხუთწლეული დამატება მიეცემა აგრეთვე სახელოსნოების ხელმძღვანელთ, ოსტატებს და უროს მცემელს, პირველთ—ხელმძღვანელთ—ხუთას-ხუთასი მანეთი, ხოლო დანარჩენებს—ოთხას-ოთხასი წლიურად.

**შენიშვნა 2:** სპეციალი საგნების მასწავლებლად და პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელებად სახელოსნოებში დაინიშნებიან სათანადო სპეციალ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთაგან მხოლოდ ისეთნი, რომელთაც სათანადო დარგში გამოცდილება აქვთ მიღებული; ხელმძღვანელობა შეიძლება დაევალოს ისეთ პირთაც, რომელთაც ჯეროვანი განათლება არ მიუღიათ, მაგრამ უწყებული არიან თავიანთი გამოცდილებით და საქმეში დახელოვნებით.

9. თითეულ კლასს ჰყავს თითო კლასის დამრიგებელი, რომელსაც დაენიშნება ათას რვაასი (1.800) მან. წლიურად.

10. სასწავლებელს ჰყავს თავისი ექიმი, რომელსაც წლიურ ჯამაგირად დაენიშნება ორი ათას ოთხასი (2.400) მან.

11. სახელმწიფო მოსამსახურენი, რომელთაც უჭირავთ შტატის თანამდებობანი, სამსახურის დროს პენსიას არ იღებენ.

12. იმ პირთ, რომელნიც დაინიშნებიან ბორჯომის და ხონის სახელოსნო სასწავლებელთა მასწავლებლად, ნება ეძლევათ წინდაწინ მიეცეთ მესამედი ჯამაგირი, ხოლო შემდეგ გამოერიცხოს წესდების კანონ. კრებ. ტომ. 3, გამოცემა 1896 წ. 216 და 217 მუხლის თანახმად.

13. ის პირნი, რომელნიც აღნიშნული შტატის შემოღებისას არ მიიღებენ ახალს დანიშნულებას, საერთო წესით შტატს გარეშე უნდა დარჩნენ.

14. მოსამსახურეთა შვილები, აგრეთვე შვილები იმ პირთა, რომელთაც უმსახურნიათ არა ნაკლებ ათი (10) წლისა სახელოსნო სასწავლებელში ან სჭერიათ თანამდებობა ექიმისა, განთავისუფლებულ იქნენ სწავლის ფულის შეტანისაგან ყველა სახელმწიფო ვაჟთა და ქალთა სასწავლებლებში.

1920 წ. მარტის 5.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### დროებითი დებულება

**ფოთის სახელოსნო სკოლის მოსამსახურე პირთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.**

1. სკოლის გამგეს აქვს არა უმეტეს თორმეტი (12) გაკვეთილისა.

2. სკოლის გამგეს თანამდებობისათვის მიეცეს ხუთი ათას შვიდასი (5700) მან. წლიურად და ბინა, აგრეთვე უფლება სამ ხუთწლეული დამატებისა, ხუთასი (500) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის, ხოლო თორმეტი (12) გაკვეთილისათვის ოთხი ათას რვაასი (4800) მან. გამგეს, თუ უმაღლეს განათლება მიღებულია, თანამდებობისათვის მიეცეს ცხრა ათას სამასი (9300) მან. წლიურად ბინით და უფლება სამ ხუთწლეული დამატებისა, ექვსასი (600) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის, ხოლო თორმეტი (12) გაკვეთილისათვის ექვსი ათასი (6000) მან., ხუთასი (500) მან. თვითეულში.

3. სკოლას ჰყავს პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელი, იგივე სკოლის გამგის თანაშემწე და სახელოსნოების გამგე, რომელსაც გამგებლობისა და ოცდა ოთხი (24) გაკვეთილისათვის მიეცეს ათი ათას ასი (10100) მან.

4. ზოგადი განათლების საგნების შტატის მასწავლებელს თორმეტი (12) ძირითადი გაკვეთილისათვის მიეცემა სამი ათას რვაას სამოცი (3860) მან. წლიურად და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა, ხუთასი (500) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის, ხოლო სპეციალი საგნების მასწავლებელთ თორმეტი (12) ძირითადი გაკვეთილისათვის მიეცემათ ხუთი ათას სამასი (5300) მან. წლიურად და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა, ხუთასი (500) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის.

**შენიშვნა 1:** თუ ზოგადი საგნების შტატის მასწავლებელი უმაღლეს სწავლა-მიღებულია, მიეცემა თორმეტ (12) ძირითადი გაკვეთილისათვის ოთხი ათას რვაასი (4800) მანეთი წლიურად და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ექვსასი (600) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის.

**შენიშვნა 2:** ზოგადი საგნების მასწავლებლობა ფოთის სახელოსნო სკოლაში შეიძლება მიენდოს იმ პირთაც, რომელთაც მოპოვებული აქვთ უფლება პირველ-დაწყებითი სკოლის მასწავლებლისა.

5. თორმეტს (12) ზევით დამატებითი გაკვეთილისათვის ზოგადი საგნების მასწავლებლებს მიეცემა ორას ოთხმოცი (280) მანეთი თვითეული გაკვეთილისათვის, ხოლო საერთო რიცხვი გაკვეთილებისა არ უნდა აღემატებოდეს თვრამეტს (18).

**შენიშვნა:** ყოველ კერძო შემთხვევაში თვრამეტზე მეტი გაკვეთილის აღება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით.

6. წერით სავარჯიშოს გასწორებისათვის ყოველი საგნის მასწავლებელს ეძლევა ორას ოთხმოცი (280) მანეთი თვითეული კლასისათვის.

7. სკოლის პედაგოგიურ საბჭოს მდივნობისა და ბიბლიოთეკის გამგებლობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითო მასწავლებელს ეძლევა ოთხას ოთხმოცი (480) მან. წლიურად.

8. სპეციალი საგნების მასწავლებელთ თვითეული გაკვეთილისათვის მიეცემათ ოთხასი (400) მან. წლიურად და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ხუთასი (500) მანეთი თვითეული ხუთწლეულისათვის. უკეთუ სპეციალი საგნების მასწავლებელი უმაღლესი განათლება მიღებულია, თორმეტი (12) ძირითადი გაკვეთილისათვის მიეცემა ექვსი ათას ექვსასი (6600) მან. და უფლება სამი ხუთწლეული დამატებისა ექვსასი (600) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის, ხოლო თორმეტ (12) ზევით დამატებითს გაკვეთილში ხუთასი (500) მან. თვითეულში.

**შენიშვნა 1:** ხუთწლეული დამატება მიეცემა აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელს, ოსტატებს და უროს მცემელს, პირველს ხუთასი (500) მან. თვითეული ხუთწლეულისათვის, ხოლო დანარჩენებს ოთხასი (400) მან. თვითეულს.

**შენიშვნა 2:** სპეციალი საგნების მასწავლებლად და სახელოსნოებში პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელებად დაინიშნებიან სათანადო სპეციალ სკოლებში სწავლა დამთავრებულთაგან მხოლოდ ისეთნი, რომელთაც სათანადო დარგში გამოცდილება აქვთ მიღებული, ხოლო ხელმძღვანელობა შეიძლება მიენდოს ისეთ პირთაც, რომელთაც ჯეროვანი განათლება არ მიუღიათ, მაგრამ უწყებული არიან თავიანთ დარგში გამოცდილებითა და საქმეში დახელოვნებით.

9. თვითეულს კლასს ჰყავს თითო კლასის დამრიგებელი, რომელსაც დაენიშნება ათას რვაასი (1800) მან. წლიური.

10. სკოლას ჰყავს თავისი ექიმი, რომელსაც ჯამაგირად ეძლევა ორი ათას ოთხასი (2400) მან. წლიურად.

11. სახელმწიფო მოსამსახურენი, რომელთაც უჭირავთ შტატის თანამდებობანი, სამსახურის დროს პენსიას არ იღებენ.

12. ამ პირთ, რომელნიც დაინიშნებიან ფოთის სახელოსნო სკოლის მასწავლებლად, ნება ეძლევათ წინდაწინ მიიღონ მესამედი ჯამაგირი, ხოლო შემდეგ გამოერიცხოს წესდების კანონ. კრებ. ტომი 3, გამოცემა 1896 წლ., 216 და 217 მუხლის თანახმად.

13. ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ შტატის შემოღებისას არ მიიღებენ ახალს დანიშნულებას, საერთო წესით შტატს გარეშე უნდა დარჩნენ.

14. მოსამსახურეთა შვილები, აგრეთვე შვილები იმ პირთა, რომელთაც უმსახურნიათ არა ნაკლებ ათი (10) წლისა სახელოსნო სკოლაში ან სჭერია თანამდებობა ექიმისა, განთავისუფლებულ იქნენ სწავლის ფულს შეტანისაგან ყველა სახელმწიფო ვაჟთა და ქალთა სკოლებში.

1920 წ. მარტის 5-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

---

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა.**

25 მარტი, 1920 წ., № 10.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე პლატონის ძე კანდელაკის საზღვარ-გარეთ გამგზავრების გამო მისი მოვალეობის აღსრულება დაევალოს მის ამხანაგს სიმონ ლუკას ძე ავალიანს 1920 წ. მარტის 28-დან.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. **ჟორდანია.**

---

ა რ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

# საქართველოს დამფუძნებელი კრების მიმართვა მოკავშირეთა სახელმწიფოების პარლამენტებს

საქართველოს მთავრობას თებერვლის 29-ს ოფიციალურად ეუწყა, რომ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ქ. ბათომი ცხადდება პორტო-ფრანკოთ მცირე დამოუკიდებელი ტერიტორიალური ზონითურთ.

დიდი აღელვება და მწვავე გულის ტკივილი გამოიწვია ქართველ ერში ამ ცნობამ.

ამ ორი თვის წინ მთელი ჩვენი ერი მოკავშირეთა მიერ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობას დღესასწაულობდა. ჩვენი ხალხი მოელოდა რომ დამოუკიდებლობის ცნობას ბუნებრივ შედეგად მოჰყვებოდა ქალაქი ბათომისა და მისი ოლქის საქართველოსათვის დაბრუნება.

ეს მხარე — სამხრეთი საქართველო—შავი-ზღვის ნაპირებზე მიკრული, უძველესი დროიდან წარმოადგენდა საქართველოსათვის ევროპისაკენ მათ მომზერალ თვალს. თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნების ზღაპრული სიუხვის წყალობით, ის ახალი ერის მერვე საუკუნიდან საქართველოს კულტურულისა და პოლიტიკური განახლების ბურჯათ შეიქნა. უთვალავი ნაშთები დიდებული ციხე-ეკლესიებისა, უძველესი გზა-ტკეცილებისა, ხიდებისა და წყალსადენებისა დღესაც ბრწყინვალე წარსულის ცოცხალ მოწმედ დარჩენილან. ძველი საქართველოს ცხოვრების უბრწყინვალესი კულტურულ-ისტორიული ხანა X—XII საუკუნოები—სამხრეთ საქართველოდან მოდენილი ნაკადის გავლენით იყო აღბეჭდილი. ეს კუთხე წარმოადგენდა საქართველოს ბუნებრივ ციხე-სიმაგრეს, რომელიც იცავდა მას და მის კულტურას ბარბაროსული შემოსევისაგან. მეთხუთმეტე საუკუნეში ბიზანტიის ოსმალთაგან დაპყრობამ ჩასტეხა ხიდი საქართველოსა და ევროპას შუა. საქართველო განმარტოებული დარჩა და ორი საუკუნის უთანასწორო ბრძოლაში დაჰკარგა თავისი სხეულის საუკეთესო ნაწილი: ოსმალეთმა მეჩვიდმეტე საუკუნეში მოჰგლიჯა მას ბათომ-არტაან-ოლთისი და მესხეთ-ჯავახეთის მხარე. მაშინ საქართველოს წაერთო პოლიტიკური თვითარსებობის უმთავრესი სიმტკიცე და ევროპასთან ურთიერთობის უძველესი საფუძველი.

ამ განუკურნებელმა წყლულმა აიძულა უთვალავ მტრებთან ბრძოლაში დაუძლურებული საქართველო თავისი ნებით შეკედლებოდა 1801 წელს რუსეთს. რუსეთის თვითმპყრობელობამ ტლანქად დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება და სრულიად მოუსპო მას დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

არა ერთი ეროვნული საუნჯე დაუკარგავს საქართველოს რუსეთის მფლობელობაში. არა ერთი დამცირება ‍ᲓᲐ დევნა განუცდია, მაგრამ რუსეთის ბატონობის დროს, მე-XIX საუკუნის განმავლობაში, მას დაუბრუნდა ნაწილი სამხრეთი საქართველოისა—თუმცა თითქმის სავსებით გამჰმადიანებული ცეცხლითა და მახვილით, მაგრამ ენით, კულტურით, მთელი თავასი ბრწყინვალე ისტორიული წარსულით განუყრელად დაკავშირებული დედა სამშობლოსთან. ეს გარემოება გახდა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში საქართველოს კულტურულ-ეკონომიური აღორძინების ფაქტორად და ქ. ბათომი—საუკეთესო პორტი საქართველოსი შავი ზღვის სანაპიროებზე—ევროპისაკენ ფართოდ გადებულ კარად გადაიქცა.

როცა დაირღვა ძველი რუსეთი და საქართველო საკუთარი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზას დაადგა, საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით კვლავ ჩამოჰგლიჯა მას ბათომ-არტაან-ოლთისის მხარე. საქართველო ვერ შეურიგდა ამ ძალადობას და საუკეთესო შვილთა სისხლით შეეცადა ბათომის შენარჩუნებას.

მაგრამ რუსეთისაგან ნაანდერძევი ანარქიის გამო ვერ შესძლო და ბათომის მხარემ ამ ორი წლის წინ კვლავ განიცადა საშინელება ოსმალეთის ოკუპაციისა.

საქართველოს საბედნიეროთ მოკავშირეთა გამარჯვებამ გააუქმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა. საქართველოს ამ ხელშეკრულობაზე ხელი არ მოუწერია—პირიქით, ის მოკავშირეთა მხარეზე იბრძოდა ამ ხელშეკრულობის წინააღმდეგ და ფაქტიურად ანტანტის მოკავშირე იყო. ასე იყო არა მარტო ბათომის დაცვის დროს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველო რუსეთის ნაწილს შეადგენდა, მისი საუკეთესო შვილნი, რომელთა რიცხვი 200.000 აღემატებოდა, თავგანწირვით იბრძოდენ რუსეთის ყველა ფრონტებზე. მათი სახელოვანი გმირობა აღტაცებას იწვევდა. როგორც რუსეთის ხალხსა და მხედრობაში, ისე მოკავშირეების წარმომადგენელთა შორის. ამგვარად მოკავშირეთა საერთო გამარჯვებაში ქართველმა მხედრობამაც თავისი წვლილი შეიტანა; საქართველომ უდიდესი მსხვერპლი გაიღო და ჰქონდა უფლება დაიმედებული ყოფილიყო, რომ მოკავშირეთა სახელმწიფონი მას მოექცეოდნენ როგორც მოკავშირეს, რომელიც მათთან ერთად იბრძოდა და არა როგორც დამარცხებულ მოწინააღმდეგეს; რომ ამ საერთო გამარჯვების შემდეგ საქართველოს არა თუ არაფერი წაერთმეოდა, არამედ დაუბრუნდებოდა ოსმალეთის მიერ წაგლეჯილი უდავო ტერიტორია. ეს იქნებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების გაუქმების ბუნებრივი შედეგი საქართველოსათვის.

მაგრამ საქართველოს ხალხის ეს კანონიერი მოლოდინი ჯერ ვერ განხორციელდა.

ამ ჟამად ბათომი მოკავშირეთა ხელშია. ხოლო ბათომის ოლქი უპატრონოდ არის მიტოვებული. იმ დროს, როცა საქართველო მოქალაქობრივი ცხოვრების წესიერი მიმდინარეობით მტრების თვალშიაც სანატრელ კუნძულს წარმოადგენს გარეშემო გამეფებული ანარქიის ზღვაში, ქ. ბათომსა და მის ოლქში ბატონობს თავაშვებული სპეკულიაცია, საარაკო სიძვირე, შიმშილობა და ანარქია. იქ ძარცვა გლეჯა და კაცის კვლა ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა. ქ. ბათომში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ორჯელ ჰქონდა ადგილი პოგრომს, რაც სრულიად უჩვეულო და უცხოა საქართველოსათვის. ამგვარად დასნეულდა საქართველოს სხეულს მოწყვეტილი მისი ორგანიული ნაწილი.

ასეთმა მდგომარეობამ სამუსლიმანო საქართველოს ბუნებრივი გულის წყრომა გამოიწვია: ჯერ კიდევ შარშან აგვისტოში დაადგინა მთელი აჭარის მეჯლისმა—ხალხის წარმომადგენელთა კრებამ—საქართველოსთან შეერთება და საგანგებო დელეგაციას დაავალა ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად მოქმედება. ამა წლის თებერვალში ქ. ბათომმა მუნიციპალიტეტის არჩევნებში ქართველების ობსოლიუტური უმრავლესობა აღჭურვა თავისი ნდობით და მით საქვეყნოთ განაცხადა ერთსულოვანი, უდრეკი სურვილი საქართველოსთან შეერთებისა. ეს მოხდა მიუხედავათ ქალაქის უცხო ძალების მიერ ოკუპაციისა, მიუხედავათ ქართველების აშკარა დევნისა და მით მათი ძალების დაქსაქსვისა—რამდენად ბუნებრივია არჩევნების ეს შედეგი, ამას სხვათა შორის მოწმობს ისიც, რომ ქ. ბათუმში საქალაქო დებულების შემოღების დღიდან—1888 წლიდან-გარდა რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნული პირველი მოურავისა, ბათომის სუყველა მოურავები ქართველები ყოფილან. ბათომი მუდამ ქართული ქალაქი იყო და დღესაც ასეთივეა.

ბათომის ოლქის ქართველობა (რომელიც მცხოვრებთა 95 პროცენტს შეადგენს), დღეს ფაქტიურად უპატრონოდ დარჩენილი, მოქალაქეობრივ წესიერებას მოწყურებული, მოციქულს მოციქულზე უგზავნის საქართველოს —ემუდარება წესიერების დამყარებას, ჯარების გაგზავნას ოლქში.

მაგრამ საქართველო დღემდე ელოდებოდა თავისი უცილობელი უფლების აღიარებას—მოკავშირეთა მიერ ბათომის ოლქის საქართველოს წიაღში დაბრუნებას და სამაჰმადიანო საქართველოსაც ამავე იმედით აშოშმინებდა. საქართველოს ხალხს სწამდა, რომ მისი დამოუკიდებლობის ცნობა აუცილებლათ გულისხმობდა ბათომის საკითხის მის სასარგებლოდ გადაჭრას. უამისოდ თვით დამოუკიდებლობის ლიტონი პრინციპი შეუსაბამობლათ უნდა გადაქცეულიყო; ვინაიდან როგორც ცოცხალ ორგანიზმს ვერ ჭვეტყვით—იცოცხლე, მაგრამ ნუ ისუნთქებო—ისე საქართველოსათვის არ ითქმის—იყავი თავისუფალი, ხოლო ბათომის ოლქი დასთმეო.

საქართველოს ხალხმა მწარე ისტორიული გამოცდილებით იცის უბათუმოდ ის მუდამ სულთმობრძავი იქნება; იცის ისიც, რომ ბათომის ოლქის საზღვრები მისთვის ბუნებრივი სიმაგრეა სამხრეთის მხრივ ეს საზღვრები მას საშუალებას მისცემს მცირედი ჯარით უზრუნველჰყოს ქვეყანა შემოსევისაგან—ხოლო ბათომის ოლქის მოგლეჯა აიძულებს მუდამ ომისა და თავდასხმის საფრთხის წინაშე იდგეს და შინაგანი კეთილდღეობის მოწყობა ფუჭ ოცნებათ გადაექცეს.

აი რა იყო მიზეზი ერის გულის წყრომისა მარტის 19-ს, როცა მთელ საქართველოს მოეფინა ცნობა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებისა ბათომის გამო. ამ დღეს მთელი საქართველო ფეხზე დადგა—დამფუძნებელ კრებას ზღვა ხალხი მოაწყდა—ხალხი მოითხოვდა დამფუძნებელი კრებისა და მთავრობისაგან გადებულ გზას დასდგომოდენ ბათომის ოლქის შემოსაერთებლად. ამავე დროს სამაჰმადიანო საქართველოდანაც მრავალი საპროტესტო დეპეშა მოვიდა იმავე მოთხოვნილებით. ბათომის ოლქიდან ჩამოსული დელეგაციები თხოულობენ ბათომის ოლქის ბედის საქართველოს სასარგებლოდ გადაჭრის დაჩქარებას.

უდავოა საქართველოს უფლება ბათომზე და მის ოლქზე და უფლება იგი არ უნდა იქნეს მოკავშირეთაგან უარყოფილი და გათელილი. ამას მოითხოვს საერთაშორისო სამართალი და უმაღლესი სამართლიანობა, ამას მოითხოვს მოკავშირეთა ღირსება, მათ დროშაზე წარწერილი დემოკრატიული პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა და თვით მათი ინტერესები.

საქართველომ შესძლო მოეწყო დემოკრატიული სახელმწიფო, დაემყარებია სახელმწიფოებრივი წესრიგი და დაეცვა თავი ბოლშევიკური სამოქალაქო ომისა და ანარქიისაგან. ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიისა და მცირე აზიისათვისაც. ბოლშევიკები ცდილობენ სამოქალაქო ომის ცეცხლი აზიაში გადაიტანონ. ამიერ-კავკასია აზიასა და ბოლშევიკურ რუსეთს შუა აღმართული სიმაგრეა და ვიდრე ამიერ-კავკასიაში მტკიცე დემოკრატიული წყობილებაა, ბოლშევიკების ცდაც უნაყოფო იქნება. ამიტომ მოკავშირეთა მიერ უარყოფილი უნდა იქნეს ყოველივე, რაც ამ დემოკრატიულ კედელს შლის და ამიერ-კავკასიაში ანარქიის დამკვიდრებას ხელს უწყობს. ის მუშაობა კი, რომელიც ამ ჟამად ბათომსა და მის ოლქში სწარმოებს, ხელს უწყობს ამიერ-კავკასიაში ანარქიის დამკვიდრებას და ქართველ ხალხს საშუალებას უსპობს მთელი თავისი ყურადღება და ენერგია მიმართოს ჩრდილოეთის საფრთხისაკენ, მოიკრიბოს სულიერი სიმშვიდე და შინაგანი სიმტკიცე თავისი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივობის დასაცავად. მეორე მხრით სამუსლიმანო საქართველოს საუკუნოებრივი წყლულებიც დაუყონებლივ დაშოშმინებას მოითხოვს.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ბათუმის საკითხის ასეთ მდგომარეობის გამო იქონია მსჯელობა მარტის 19 სხდომაზე და დაადგინა დაევალოს პრეზიდიუმს მიმართოს მოკავშირეთა სახელმწიფოების პარლამენტებს, რათა მათ მხარი დაუჭირონ ქართველი ერის საარსებო ინტერესების განხორციელებას ბათომისა და ბათომის ოლქის საქართველოსათვის დაბრუნების საკითხში.

დამფუძნებელ კრების დადგენილების თანახმად პრეზიდიუმი მიჰმართავს მოკავშირეთა სახელმწიფოების პარლამენტებს მტკიცე რწმენით, რომ ამ სახელმწიფოების ხალხთა ნების გამომხატველი უზენაესი დაწესებულებანი სრულის თანაგრძნობით შეხვდებიან ქართველი ერის მიმართვას.

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**

---

# შინაგან საქმ. სამინისტროში

**თიანეთის სამაზრო ერობის დეპეშა.**

შინ. სამინისტროში მიღებული ცნობების თანახმად, ჩვენ გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა თიანეთის ერობის მიერ გვარდიისათვის ნაყიდ ხორბლეულობის დაკავების შესახებ. ამ ცნობას უარყოფს თიანეთის ერობის გამგეობა და შემდეგს გვაცნობებს დეპეშით: **„საქართველოს რესპუბლიკის“ 66 ნომერში მოთავსებული ცნობა, არ უშვებდეს გვარდიის მთავარ შტაბისთვის შეძენილ ხორბალს, სიმართლეს არ შეეფერება, პირიქით, გვარდიას და ჯარს თიანეთის სამაზრო ერობა ყოველგვარ დახმარებას უწევს ხორბლეულობის შეძენა-გატანაში, რასაც დაამოწმებენ სამხედრო უწყების აგენტი ჩაჩავა და გვარდიის რწმუნებული მეცხვარიშვილი. გვარდიამ სათესლე და ჯარისთვის საკვები უკვე წაიღეს ახმეტის რაიონიდან 4 ათასი ფუთი ხორბლეულობა“.**

**განკარგულება**

დიდი თოვლის გამო ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში მოსალოდნელია წყალდიდობა; შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა მაზრის კომისრებს, რათა ტფილისის ქალაქის თვითმართველობას მიაწოდონ ყოველდღე დეპეშით ცნობები მდინარე მტკვრის, არაგვის და ლიახვის სათავეების ადიდების შესახებ.

**შიმშილობა ნეიტრალურ ზონაში.**

ნეიტრალური ზონის კომისარი იუწყება, რომ სოფ. ალავერდში, შამბურგში, ბენდიკში და სოფ. ალტალაში შიმშილობამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ არის შემთხვევები შიმშილით სიკვდილისა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულია ზომები ამ მოვლენის აღსაკვეთად.

**დატუსაღება.**

შინაგან საქმეთი სამინისტრომ დამატებითი ცნობა მიიღო ზუგდიდიდან ადმინისტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის ინსპექტორის თანაშემწისაგან, რომ მილიციის მიერ მიღებული ზომებით 28 ამა თვეს გამოცხადებულან სამი ტუსაღთაგანი თავისი ნებით, შეუპყრიათ სამი და ხანგრძლივი სროლის შემდეგ სოფელ ყულისკარში მოუკლავთ ერთი პატიმართაგანი მექიროგავა, რომელიც შიშის ზარს სცემდა მთელ მაზრას. შეპყრობილია აგრეთვე სოფლის კომისარის და მილიციონერის მკვლელები მესხია და ქუჰავა.

**შუამდგომლობა.**

სოფ. ნოჯა. ნოჯიკეთის ხეობის და ფიქვიანის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ისინი განთავისუფლებული იქმნან მიწის ერთდროული, გადასახადისაგან.

**რადიო-სადგური.**

იტალია-კავკასიის სარიცხი ბანკის გამგემ აუწყა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ, ევროპასთან მჭიდრო კავშირის მიზნით, ბანკის მიერ შემუშავებულ იქმნა პროექტი სენატორ მარკონის კონტაქტით და თანხმობით ამიერკავკასიაში რადიო-ტელეგრამის ექსპლოატაციის და განვითარებისათვის დამოუკიდებელ საზოგადოების დაარსებისა. კაპიტალი ამ საზოგადოებისა უნდა უდრიდეს 2.200.000 იტალიურ ლირას და ადგილობრივ მთავრობათა მიერ კი უნდა შეტანილ იქმნას 800-000 მან. მთავარი რადიო სადგური მოთავსებული იქნება ნავთლუღში.

აღნიშნული ბანკის გამგე თხოულობს ეცნობოს მას შინაგან საქმეთა სამინისტროს შეხედულება ამ საქმეზე.

## სახალხო განათლების სამინისტროში

**შეცდომის გასწორება.**

კვირის საქრონიკო შენიშვნები მოსკოვის სამხატვრო თეატრის დასის ქ. ტფილისის ჩამოსვლის შესახებ დაშვებულია შემდეგი კორექტურული შეცდომა: „...დირექტორმა გან. მინ. ამხანაგს დაავალა“ უნდა იყოს: „დირექტორმა—ვ. ბერიძემ გან. მინ. ამხანაგის დავალებით სთხოვა“... და სხვა.

**დამოუკიდებლობის დღე ქუთაისში.**

საქართველოს ტანთ-ვარჯიშობის „შევარდენის“ ქუთათური საზოგადოება განათლების სამინისტროში მოსულ ცნობებით მიმდინარე წლის 26 მაისს აპირებს მოაწყოს ქალ. ქუთაისში დიდი დღესასწაული. ქუთათური „შევარდენი“ განათლების სამინისტროს სთხოვს დღესასწაულისათვის მიეცეს ნორმა და სხვა საჭირო საგანი.

**ეროვნული გუნდი.**

ეროვნული გუნდის გამგემ და ლოტბარმა კ. ფოცხვერაშვილმა შუამდგომლობით სთხოვა მთავრობის თავმჯდომარეს, რათა ეროვნულ გუნდს, რომელიც ამ ჟამად ძალიან მცირე რიცხოვანია და ძლივს აკმაყოფილებს სამხედრო ტაძრის მოთხოვნილებას, მთავრობის სუბსიდია, დღეს რომ ეძლევა ყოველ თვიურათ 15 ათასი მანეთი, გაუდიდდეს 30 ათას მანეთამდე. გუნდის შესანახავად საჭირო თანხის გადიდებას, კ. ფოცხვერაშვილის აზრით, კიდევ ის გარემოება მოითხოვს, რომ, მთავრობის დადგენილების თანახმად, გუნდს უხდება აგრეთვე გალობა სიონის ტაძარში და გარდა ამისა დიდი მზადება მომავალ 26 მაისის დღისთვის. ფოცხვერაშვილს განზრახვა აქვს 500 კაცის გუნდი მოაწყოს ეროვნულ დღესასწაულისათვის.

**პროფ. სიპოვსკი.**

რუსულ მწერლობის ისტორიკოს, ცნობილ მეცნიერს სიპოვსკის სამინისტრომ სპეციალ თანხიდან ჯერ-ჯერობით 3 ათასი მანეთის დახმარება აღმოუჩინა.

**„იმედის“ სასადილო.**

ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებამ, შუამდგომლობით მიჰმართა განათლების სამინისტროს, რათა ხსენებულ საზოგადოების სასადილოს „იმედის“ საჭიროებისათვის გადაეცეს ქართულ კლუბის ქვეშ გაშენებული „კაფე-პარიზი“, რომელიც ამ ჟამად ცარიელია. განათლების სამინისტრომ ასეთ შუამდგომლობის დაკმაყოფილება სთხოვა როგორც ქალაქის მოურავს, აგრეთვე მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომელიც განაგებს, რესპუბლიკის ყოველ უძრავ ქონებას.

**მასწავლებელნი რუსულ სკოლებისათვის.**

ამას წინად ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ განათლების სამინისტროს მოახსენა, რომ ამიერ-კავკასიის საღზვრებში არსებულ რუსულ სახალხო სკოლებისთვის საკმაო რიცხვი მომზადებულ მასწავლებლებისა არ მოიპოვება და რომ ასეთ საჭიროება-მოთხოვნილების შესავსებად საჭიროა დაარსდეს ისეთი ორგანო, რომელიც მასწავლებლობის მსურველებს მომზადებაში გამოცდის და შემდეგ მასწავლებლადაც დანიშნავს.

**გორის სასტატო სემინარია.**

განათლების სამინისტროს განკარგულებით გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიის სწავლა-მეცადინეობა განახლდება ქალ. ბორჯომში.

სემინარიის მოწაფეთ კომიტეტის მიერ წინადადება მიეცათ რკინის გზის ბილეთები თითონ შეიძინონ და შემდეგ ეს ნაყიდი ბილეთები წარუდგინონ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს, რომელიც ბილეთის ფასს დაუყონებლივ აუნაზღაურებს.

**ახალციხის სკოლების საბუთები.**

1918 წლის შიშიანობის დროს ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში არსებულ სკოლების ყოველგვარი ქონება, საბუთები და საქმეები მთავრობის განკარგულებით გადმოტანილი იყო ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელში. განათლების სამინისტროს ცნობით, მთელი ეს საბუთები ამ ჟამად უკვე დაუბრუნებიათ ადგილობრივ სკოლებისათვის.

**ხუთ-მილიონიანი სესხი წ. კ. საზოგადოებას.**

მთავრობამ 23 მარტს დაადგინაა: 5 მილიონიანი სესხი მიეცეს წ.—კ. საზოგადოებას, მხოლოდ დაევალოს განათლების სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გამოიმუშავოს სესხის გაცემის პირობები და გარანტია. განათლების სამინისტრომ მთავრობის ასეთ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად სათანადო. ნაბიჯები უკვე გადასდგა.

**ქუთაისის თეატრის უმწეობა.**

ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების მეთაურობით ქალ. ქუთაისში გასულ ზამთარის განმავლობაში იმართებოდა წარმოდგენები. თებერვლამდე საზოგადოებას მოუწყვია 61 წარმოდგენა და აქედან შემოსავალი ჰქონია 361790 მანეთი, ხოლო გასავალი 489625 მანეთი, ე. ი. თითქმის 130 ათასი მანეთით უზარალნია. ქუთათურ დრამატიულ საზოგადოების ნივთიერი უმწეობა კიდევ იმას გაურთულებია, რომ სიცივების გამო ძალიან გავრცელებულა შავი სახადი, რის გამო ქალაქის გამგეობას და ჯანმრთელობის კომისიას დროებით დაუხურავს ყველა გასართობი (სადაც ხალხი იყრიდა თავს), მათ შორის თეატრიც. 18 დღის უმოქმედობის შემდგომ დრამატიულ საზოგადოებას ხელმეორედ განუახლებია წარმოდგენების მართვა და რომ ზარალი შეემცირებია, ბილეთებისთვის მეტი ფასი დაუდვია, რასაც მშრომელ ხალხის, დემოკრატიის ნაკლები სიარული გამოუწვევია. ქუთაისის დრამ. საზოგადოებას თავის დეფიციტის დაფარვა უთხოვნია დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიისთვის, რომელმაც ეს შუამდგომლობა დასკვნისათვის განათლების სამინისტროს გადუგზავნა.

**მიხ კავსაძის გუნდი.**

ლოტბარმა მიხეილ კავსაძემ შუამდგომლობით მიჰმართა დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიას, რათა მან მის გუნდს სათანადო ყურადღება და მზრუნველობა აღმოუჩინოს. ასეთივე თხოვნით მიმართა მან განათლების სამინისტროს.

## უცხოეთი

**ოსმალეთის ახალი კაბინეთი.**

სელი-ფაშის კაბინეთის შემადგენლობა გადადგა, სულთანმა ახალი კაბინეთის შედგენა დაავალა დამად ფერიდ-ფაშას.

**მთის რესპუბლიკა.**

კავკავში აღიარებულია მთის რესპუბლიკა აიდარ ბამატის მეთაურობით.

**სამოქალაქო ომი დაღესტანში.**

მარტის 10-ს ლევაში მომხდარა შეტაკება მთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დამცველ და კომუნისტების შორის. შეტაკების მსხვერპლი გამხდარან კომუნისტურ პარტიის თვალსაჩინო წევრნი კაბბეკოვი და აბას-აგა ეფენდიევი. დაღესტანის კომუნისტების ლიდერი კი კორკამოსოვი ჩავარდნიათ ტყვედ.

**შეტაკება ოსებსა და მოხალისეთა შორის**

სოფ. ბესლანში მოხალისეთა რაზმი დასცემია ოსების მოსახლეობას. ამან გამოიწვია დიდი შეტაკება ოსებსა და მოხალისეთა შორის.

## ყარაბახი.

(გაზ. „აზერბაიჯანის“ ოფიც. ცნობიდან).

უკანასკნელ მიღებულ ცნობებით, ყარაბახში სომეხთა თავდასხმა კვლავ გრძელდება. თავდასხმას განსაკუთრებით აწარმოებენ შუშაზე, კანკენზე და მის ახლო მდებარე რაიონებზე. სომხებს მედგარ წინააღმდეგობას უწევენ მუსულმანები. სოფ. მარაგის ადგილობრივ პარტიზანების რაზმმა სომხების ძალები დიდი ზარალით უკუაგდო, აღებულია სომეხთა მიერ გამაგრებული პოზიცია—იუზბაშევ-ხანის საგნახსკის მამულიც. ზანგეზურის რაიონიდან იტყობინებიან რომ მთელ მაზრას დასცემიან სომხები და მუსულმანების სოფლებს ერთი მეორეზე არბევენ და ანადგურებენ. უფრო სარწმუნო ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ სომეხთა ბანდებს ემატებიან კიდევ ძალები ახალ ბაიაზეთიდან და ერევნის გუბერნიიდან. აზერბაიჯანის ჯარის ნაწილებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ამ გამოსვლებში, ხოლო ადგილობრივი პარტიზანული რაზმები კი—თავდაცვის ტაქტიკას ადგანან. ასკერანის ძალები აზერბაიჯანელების ხელშია. სომხებს უნდოდათ სოფელ მალხალაფის დაწვა, მაგრამ დროზე გაგებულ იქნა და უბედურება თავიდან ასცილდა ხალხს. 25 მარტს სომხები კიდევ დაეცნენ აბდულიარს, მაგრამ დიდი ზარალით უკან დაიხიეს. ბრძოლის ველზე მათ დასტოვეს 30 მოკლული კაცი. თითქმის ყოველ მხრივ აწარმოებდენ სომეხთა ძალები შეტევას, მაგრამ მუსულმანების მედგარმა წინააღმდეგობამ სომხების ბანდები შესამჩნევად დაქსაქსა.

## ა. ჩხენკელი კახეთში.

დეპუტატი ა. ჩხენკელი, რომელიც რამდენსამე დღით გაწვეულ იყო კახეთში, დაბრუნდა 29 მარტს საღამოს. მან გააკეთა სიღნაღში და თელავში მრავალ რიცხოვან აუდიტორიის წინაშე ვრცელი მოხსენება თანამედროვე მომენტზე და საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე. მსმენელთა შორის ბევრი იყო სოფლებიდან რომელიც სპეციალურათ მოხსენების მოსასმენათ ჩამოსულიყვნენ. გზად სიღნაღიდან თელავამდე, სოფ. ანაგაში, სადაც დიდი საკვირაო ბაზრობა იყო, ხალხმა მოისურვა დეპ. ჩხენკელის ხილვა; გაიმართა გრანდიოზული მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკა დეპუტატმა.

სამივე ალაგას დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად მიიღო შესაფერი რეზოლიუციები, რომელიც ამ დღეებში იქნება გაზეთებში მოთავსებული.

## აბხაზეთში

**ბათუმი და აბხაზეთი**

თუმცა აბხაზეთი (ყოფილი სოხუმის ოლქი) შეერთებულია საქართველოსთან ავტონომიურად, მაგრამ იგი ცხოვრობს საქართველოსთან ერთი მიზნით. აბხაზეთის და საქართველოს ცხოვრების მაჯის-ცემა ერთია. ტფილისი და სუხუმი—ორი გულია, სადაც პოლიტიკური ცხოვრება სცემს ერთხმად. არ შეიძლება ითქვას რომ ამას ხელს უწყობს მხოლოდ ერთი მმართველი პოლიტიკური პარტია—სოციალდემოკრატია, აქაც და იქაც. არა, აბხაზეთი, არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში, შექმნილ კონიუნქტურაში, ორგანიულად დაკავშირებულია საქართველოსთან და არ არის არც ერთი ისეთი დიდი განსხვავება, რომ აბხაზეთის და საქართველოს ინტერესებს ერთი მეორედან ყოფდენ.

ამიტომ არ არის გასაკვირალი ის ერთსულოვანობა, რომელიც გამოიჩინა აბხაზეთმა ბათუმის საქართველოსთან შემოერთების დემონსტრაციაში.

თავის თავად ბათუმს აბხაზეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. საქონლის გატან-გადმოტანისთვის აბხაზეთს აქვს თავისი საკუთარი ნავთსადგური, მაგრამ აბხაზეთისთვის სულ ერთი არ არის თუ ბათუმი ვის ხელში იქნება. და აი რატომ გადაწყვეტით ყველა პოლიტიკური პარტიები დაწყებული ეროვნულ-დემოკრატებიდან, სოციალისდ-ფედერალისტების და სოციალისტ-დემოკრატებამდე მოითხოვდენ აბხაზეთის სახალხო საბჭოს საზეიმო სხდომაზე ბათუმის შემოერთებას საქართველოსთან და გამოსთქვამდნენ აზრს მთავრობას დახმარებოდნენ ამ მიზნის მიხწევაში. იგივე ერთსულოვნებას ნახავდით მიტინგებზე, ქუჩაში მოსიარულე დემონსტრანტებზე, რომელნიც მოითხოვდნენ ბათუმის გადაცემას საქართველოსათვის. მიტინგებზე თუ კრებებზე მონაწილეობას ღებულობდა რამდენიმე ათასი მოქალაქე. მიტინგზე გამოტანილი იყო რეზოლიუცია ბათუმის და მის ოლქზე საქართველოსთან შემოერთების შესახებ.

ამასვე გამოსთქვამდნენ პროფესიონალური ორგანიზაციები. ოლქის პროფესიონალურმა კავშირის საბჭომ გამოიტანა რეზოლიუცია ბათუმის საქართველოსთან შეერთების შესახებ, რომელიც დამყარებულია მუშათა ინტერესების თვალსაზრისზე. ასეთია აფხაზეთის განწყობილება.

(„ბორბა“).

## თიონეთის მაზრის ეროვის

**ხმოსანთა მესამე ყრილობა.**

(ერთი თვალის გადავლებით)

**ყრილობის მოწვევის დაგვიანების მიზეზი**

ეს მესამე ყრილობა წელს იანვარში უნდა შემდგარიყო, მაგრამ ზოგიერთი მიზეზების გამო ორი მარტისთვის დაინიშნა. წელს მთაში დიდი ზამთარი დადგა, ხმოსანთა მეორე ყრილობა ოქტომბრის დამდეგს იყო. მაშინ ვინ იფიქრებდა, თუ ასეთი ზამთარი მოვიდოდა. მაშინ მთა თვალისა და გულის წარმტაცი არის. ნაზი ჩალისფერი სიყვითლე ის არის ეცემა ტყეს და მგზავრობა მაშინ განსაკუთრებული სიამოვნებაა. აკი ყველა ხმოსანი იყო მეორე ყრილობაზე. ეხლა 2 თვეა ერთმანეთს მოწყვეტილნი ვიყავით დიდი თოვლის გამო. მაგრამ მაინც გადმოელახათ მთიულებს გზა: მოვიდენ პანკისის ხეობიდან ქისტი და თუში თითო კაცი, შორი მთიდან, ხევსურეთიდან მოვიდა მოხუცი მგელიკა ლიქოქელი. ფშაველი ხმოსანი ხიწვა თურმანაული წყენით იწერებოდა: თოვლმა და სიბერემ დამჯაბნეს და ველარ გნახეთო.

ორ მარტს, ერობის 21 ხმოსანმა მოიყარა თავი (ამათში 4 გამგეობის წევრია). გაჩაღდა კომისიების და ფრაქციების მუშაობა-თათბირები. ხმოსნები ეცნობიან გამგეობის მომავალ მუშაობის გეგმებს, თავის შეხედულებას აცნობენ გამგეობას ამა თუ იმ საქმის შესახებ, მთის საჭიროებას მოუთხრობენ კომისიებში ხმ. ლიქოქელი, ცისკარაული და სხვ.

**მოქმედების ანგარიში**

გამგეობაც ხელცარიელი არ დახვედრია რწმუნებელთ. ერობა აქ 4 აგვისტოდან მუშაობს. მოუწყვიათ ელექტრონის განათება, მოტორის წისქვილი, სინემატოგრაფი, ერობის მაღაზია. ამას ხმოსნები თვალდათვალ ხედავენ. ერობის მუშაობა გაჩაღებულია ყოფილ მაზრის სამართველოში; ეს ის ადგილია, სადაც ძველი წესების დროს ვინ იცის კანონისა და სამართლიანობის სახელით, რამდენი უკანონობა ყოფილა! ვინ უწყის, იქნება მთიულთ, დღეს ხალხის წარმომადგენელთ, ევებ კიდეც ახსოვთ აქ ნანახი უკანონობა, შეურაცხმყოფი გადამთიელთა ბატონობის დროს! ეხლა ეს დარბაზი ელექტრონით გაუნათებიათ, შიგ უბრალოდ ჩაცმულები, უჩინუტემლაკონი მუშაობენ!

გამოიცვალა დროება! ათვალიერებს მოხუცი მგელიკა ელექტრონს, უცქერის სინემატოგრაფის სურათებს და გაკვირვებით ამბობს: „ორა ჯადო სანახაობა ვნახეო!..“

სამ მარტს, საღამოს დაიწყო საერთო სხდომები. გამგეობამ წარუდგინა ხმოსნებს თავისი ნამოქმედარის ანგარიში და მომავალ მუშაობის გეგმა.

სულ ექვსი სხდომა ჰქონდათ ხმოსნებს.

**დახმარება გორელებს**

პირველი სხდომის საგანი, უმთავრესი სატკივარი გორის ამბავი იყო. გორი და მისი მიდამოს სოფლები დაინგრა. ეს ამბავი შემოკლებით აუწყა კრებას თავმჯდომარემ ვ. ჯიბლაძემ და მოუწოდა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ დახოცილთა ხსოვნისთვის. ყველა ადგა. შემდეგ ილაპარაკა გამგეობის თავმჯდომარემ ვლ. პაპავამ, რომელმაც ასწერა სტიქიონის საშინელება და წარუდგინა ხმოსნებს გამგეობის აზრი დახმარების მოწყობის შესახებ. გამოირკვა, რომ მაზრაში მუშაობს დამხმარე კომიტეტი, სადაც ერობის გამგეობის წევრებს გარდა, საზოგადოებიდან 9 წევრია კიდევ.

კრებამ კიდევ მოუმატა სამი კაცი, ყველა ხმოსანი შედის ადგილობრივ კომიტეტებში წევრათ, გადაიდვა ერობიდან 25 ათასი მან. გორში გასაგზავნათ, ერობამ მიიღო თავის თავზე კომიტეტების მოსაწყობი და შემოწირულების გასაგზავნი, თუ სამგზავრო ხარჯები. ხმოსნებმა ცალკე გაიღეს 200 მან. თითომ და სხვა. ყველა ფრაქციებმა გრძნობიერი სიტყვებით აღნიშნეს საერთო უბედურება და აღუთქვეს გამგეობას ამ საქმეში დახმარება.

**ადმინისტრაცია**

შემდეგ მოისმენილ იქნა წარსული მუშაობის ანგარიშები. ადმინისტრაციის მოწყობის ანგარიშს კრებას აძლევს ვლ. პაპავა.

მილიცია სათანადოდ მოუწყვია ერობას. მაზრა გაყოფილია ხუთ სამილიციო უბნად. ყველგან სათავეში ჩაყენებულია შესაფერი პირები. ყაჩაღობა იდევნება დაუზოგველად. ბოროტმოქმედების კვალს ხელად იგნებენ და სასამართლოს ხელში აძლევენ დამნაშავეთ. ამ მაზრაში ამ მხრით საქმე ცუდად იყო 1917 და 1918 წლებში. ეხლა კი საქმე გამოსწორებულია.

**სწავლა-განათლება.**

განათლების განყოფილებს იმავე ვლ. პაპავას აულია. მანვე გააცნო ხმოსნებს ამ საქმის მდგომარეობა. სკოლები ერობას დანგრეულ-გაპარტახებული დახვედრია, მასწავლებლობა გაბნეული. ეხლა მაზრაში 13 სასწავლებელია, 28 მასწავლებელი გვყავს, 679 მოსწავლე, 1 ინსტრუქტორი. „ამ დარგში ჩვენ ბედი უფრო გვწყალობდა; თავიდანვე დაგვირჩა შესაფერისი თანამშრომელი, ჩვენი ინსტრუქტორი და ბედს აღარ ვემდურით, თუმცა იმერეთის ზოგიერთ მაზრებში მასწავლებელი მეტი არის, ვიდრე ჩვენს მაზრაში მოსწავლეო“, სთქვა ვლ. პაპავამ. 28 მასწავლებელთაგან ახლად მოწვეულია 17. ერობას აღუდგენია მიშლილი სკოლები, მოუვლია მაზრა, უგროვებია ბავშვები, შეუძენია სახელმძღვანელოები და ეს ერთიანად მოშლილი და დანგრეული საქმე ხელახლა გამოუწყვია. აღსადგენი არის 7 სასწავლებელი.

**სასურსათო საქმე.**

სასურსათო საქმის შესახებ ყრილობას მოახსენებს გამგეობის წევრი პრ. დოლიძე. ერობას გაუხსნია მაღაზია, მოაქვს საქონელი და აწვდის ხალხს შესაფერ ფასებში. ერობას ამ საქმეში მოსაგები აქვს.

**ექიმობა.**

საექიმო-სასანიტარო საქმეს, მოახსენებს ლევ. დოლიაშვილი. ერთი საავათმყოფო (ერთი ექიმი, ბებია ქალი და ფერშალი) მუშაობს ს. ახმეტაში. ერთი ფერშალი ერწოში, ერთი ფერშალიც თიანეთში. წამლები ხალხს უფასოდ ეძლევა. თანამშრომელნი ვერ გვიშოვიაო, სჩივის გამგეობა: ექიმ-ფერშლები არ მოდიან, გაურბიან თიანეთს მძიმე პირობების გამო, მიუხვდავათ იმისა, რომ ჯამაგირები მეტიც გამოვაცხადეთ გაზეთებშიო, ვიდრე სხვა ერობებმაო.

**აგრარული რეფორმა.**

აგრარულ რეფორმის, გზების და ტელეფონის შესახებ მოახსენებს ხმოსნებს ნ. ნადიბაიძე.

მიწის კანონი მაზრაში ტარდება: ჩამორთმეულია 21 ათასი დესეტინა მიწა, განაწილებულია ჯერ-ჯერობით 600 დესიატინამდე.

ტელეფონი გაუყვანია ერობას დუშეთამდე და მაზრა დაუკავშირებია ტფილისისათვის, აგრეთვე ახმეტამდე, საერთო სიგრძით 58 ვერსი.

**ოპოზიციის ხმა.**

წარსული წლის მუშაობის ანგარიში კრებას დაწვრილებით მოახსენა გამგეობამ. გაისმა ოპოზიციის ხმაც. ამ ყრილობაზე 5—6 კაცია ოპოზიციის წარმომადგენელი (ს.-ფედ. და ეროვნ.-დემოკრატები). ერწოში მილიციამ დაატუსაღა არაბული და გზაში მოჰკლა ღამე: გაიქცაო, მომიზეზეს, რა ზომები მიიღო გამგეობამო.

აგრეთვე სკოლების შესახებ: მოუწყობელია ერწოს სკოლებიო, მასწავლებლები მოუმზადებელნი არიანო და სხვა.

გამგეობამ პასუხი გასცა შეკითხვებს. გამგეობის მუშაობა დაბოლოს მოწონებულ იქნა: ერთი თუ ორი ხმა გამოაკლდა მთელ კრებას. ამათაც თავი შეიკავეს.

(დასასრული იქნება)

---

## განმარტება გ-ნ „ხუსეინის“ წერილის გამო *)

